



MES 3 22 0001452048



14/11/2022

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 01.11.2022

სხდომის დაწყების დრო: 14:00სთ

სხდომის დასრულების დრო: 15:25სთ

სხდომის თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი

საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომი-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
2. **ერეკლე ასტახიშვილი** - შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის“ პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
3. **ირინა გველესიანი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
4. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
5. **ირინა ლობჯანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
6. **ლევან მოსახლიშვილი** - სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდის“ დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;
7. **თეა მჭედლური** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
8. **თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;

9. **დავით ტეფნაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
10. **ეკატერინე შაკიაშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი
11. **დავით ჩოჩიშვილი** - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
12. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
13. **ურანდა ჭელიძე** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი;
14. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
15. **ხათუნა თოღაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლალი ოდიშვილი	უმალესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	გვანცა ძიძიგური	უმალესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
3	ანა ქოიავა	უმალესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულება	სტატუსი	საკითხი
1	დავით წასიძე	ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	
2	ნიკა გიგაური		ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	
3	გიორგი ტომარაძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი	
4	ხათუნა ბერაია		სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი	
5	ნესტან ციციშვილი			

			სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი	
6	მანანა გაბაშვილი		სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	I
7	ანა ჩუთლაშვილი		სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ადმინისტრაციული მენეჯერი	
8	თეა გველესიანი		ადამიანური რესურსების მართვის სასწავლო კურსის განმახორციელებელი	
9	თინათინ კახიანი		პროექტის მართვის სასწავლო კურსის განმახორციელებელი	
10	მარიამ მურვანიძე		სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის კოორდინატორი	
11	ეკატერინე ფირცხალავა		პროგრამის ხელმძღვანელი	
12	მედეა დესპოტაშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	
13	ელენე კვინჭილაშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	
14	მანანა მელიქიშვილი		ფსიქ. და განათლების მეცნ. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	
15	თამარ მანაგაძე		ფსიქ. და განათლების მეცნ. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სპეციალისტი	
16	ნინო ქიმერიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების	III

			განყოფილები უფროსი	
17	ქრისტინე ჩიხლაძე		თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილების მთავარი სპეციალისტი	
18	ელენე მამუკელაშვილი	შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი	ფაკულტეტის დეკანი	IV
19	ანა გოგიჩაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	
20	თამარ გვიანიშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	
21	ვლადიმერ ლლონტი	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	II
22	ლელა თურმანიძე		პროფესორი, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი	
23	ნანი მამულაძე		ასოცირებული პროფესორი, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	
24	დალი მახარაძე		ასოცირებული პროფესორი, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „მათემატიკა“ ხელმძღვანელი	

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონულ საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ირაკლი მანველიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I

2	რომეო გალდავა	(ჩაერთო „ზუმით“)	II
3	ნათია ბადრიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
4	დავით სიხარულიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტ - ჯიპას “სოციალური მეცნიერებების” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მათემატიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “გავლენებისა და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს -"ციფრული მარკეტინგის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტ - ჯიპას “სოციალური მეცნიერებების” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მათემატიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა ;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “გავლენებისა და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა ;

4. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს - "ციფრული მარკეტინგის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა ;

1. პირველი საკითხი : ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტ - ჯიპას "სოციალური მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სოციალური მეცნიერებები
2	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
3	კვალიფიკაციის დონე	მე-6
4	კვალიფიკაციის დასახელება	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სოციალური და ქცევითი მეცნიერებები - არაკლასიფიცირებული, 0319
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	240
9	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0114, თბილისი, გორგასლის ქუჩა N101.
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	28/09/2021 N989996
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2021 წლის 28 სექტემბერი
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	2022 წლის 28 სექტემბერი.
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2028 წლის 31 დეკემბერი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტმა უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინა 2022 წლის 19 სექტემბერს. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებით სოციალურ მეცნიერებათა საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია შვიდი წლის ვადით. მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად განესაზღვრა ერთი წელი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების მიზნით პროგრამის სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელდა რიგი ცვლილება. პროგრამის განვითარებისა და თვითშეფასების ჯგუფი შედგება ფაკულტეტის დეკანის, პროგრამის ხელმძღვანელის, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის და ა.შ. ჯგუფი გაეცნო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციებს, განიხილა თითოეული მათგანი, მოახდინა ადეკვატური ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამაში და წარმოადგინა განხორციელებული ცვლილებების შესახებ ანგარიში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს და აღნიშნა, რომ რეკომენდაციები იყო განმავითარებელი პროგრამისთვის. შესაბამისად, დაწესებულებამ გაითვალისწინა თითოეული მათგანი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14: 08

დასრულების დრო: 14:10

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტ - ჯიპას "სოციალური მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად

აკრედიტაციის დებულების 27^ბ მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2¹¹ პუნქტის საფუძველზე ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტ - ჯიპას "სოციალური მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

2. მეორე საკითხი : სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მათემატიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ¹	მათემატიკა
2	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
3	კვალიფიკაციის დონე ²	მეშვიდე
4	კვალიფიკაციის დასახელება	მათემატიკის მაგისტრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით ³	-
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) ⁴	მათემატიკა - 0541
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	120
9	განხორციელების ადგილი ⁵	საქართველო, 6010, ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 28 სექტემბრის # 989892 გადაწყვეტილება
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2021 წლის 14 სექტემბერი
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	2022 წლის 14 სექტემბერი
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2027 წლის 01 ივლისი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა- თეა მჭედლურმა, თამარ სირაძემ და ნინო ჭალაგანიძემ.

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებით „მათემატიკის“ სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7

წლის ვადით და რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განესაზღვრა 2022 წლის 14 სექტემბერი. დაწესებულების მიერ ანგარიში წარმოდგენილ იქნა განსაზღვრულ ვადაში, 2022 წლის 14 სექტემბერს. ანგარიშის წარმოდგენის მიზნით, „მათემატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამუშაო ჯგუფმა განიხილა აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ განსაზღვრული რეკომენდაციები/რჩევები და სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის გადაანაწილა პასუხისმგებლობები. ჯგუფმა განიხილა და შეაფასა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფისა და აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები, დასახა კონკრეტული ღონისძიებები და მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები მათ შესასრულებლად. შესაბამისად, ყველა რეკომენდაცია შესრულდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს და აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია მიმართული იყო პროგრამის განვითარებაზე. შესაბამისად, თითოეული მათგანი შესრულდა სრულყოფილად .

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:22

დასრულების დრო: 14:26

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მათემატიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2¹¹ პუნქტის საფუძველზე სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მათემატიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

3. მესამე საკითხი : სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “გავლენებისა და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა ;

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება1	გავლენების და კომუნიკაციის ფსიქოლოგია
2	უმაღლესი განათლების საფეხური	მეორე საფეხური
3	კვალიფიკაციის დონე2	მეშვიდე
4	კვალიფიკაციის დასახელება	ფსიქოლოგიის მაგისტრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით3	-
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)4	0313 ფსიქოლოგია
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	120

9	განხორციელების ადგილი	ი.ჭავჭავაძის გამზ 11ა თბილისი, 0179 საქართველო
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 23 სექტემბრის N 971026 გადაწყვეტილება
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2021 წლის 10 სექტემბერი
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად	2022 წლის 10 სექტემბერი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა - ირინა გველესიანმა, დავით ჩოჩიშვილმა და ნინო ჭალაგანიძემ.

საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის გავლენებისა და კომუნიკაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2021 წლის 23 სექტემბერს. აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარდგენისთვის განსაზღვრულ იქნა 1 წლიანი ვადა 2022 წლის 10 სექტემბრამდე. დაწესებულებამ დადგინებულ ვადებში წარადგინა ანგარიში, სადაც აღწერილია 10 რეკომენდაციაზე ჩატარებული საქმიანობა.

დაწესებულებამ ერთი წლის განმავლობაში სრულად შეასრულა 6 რეკომენდაცია: (1, 2, 4, 5, 6 და 8) , ნაწილობრივ შეასრულა - 2 რეკომენდაცია (რეკომენდაციები 7 და 10) და არ შეასრულა 2 რეკომენდაცია (რეკომენდაცია 3 და 9) .

ექსპერტმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა არ შეასრულა მესამე რეკომენდაცია, კერძოდ, სამაგისტრო პროგრამა არ იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას. აწესებულების აზრით გასაუბრებაზე ხდება სპეციალურად მომზადებული ინგლისურენოვანი ტექსტის თარგმნა და წარდგენა, რაც დარგობრივ სფეროში არსებულ კომპეტენციებს ავლენს, და იგი უფრო მეტია, ვიდრე ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა. რამდენადაც ეს უკანასკნელი მოიცავს მხოლოდ საკომუნიკაციო ინგლისურის ფლობას B2 დონეზე.

ამასთან აღსანიშნავია მე-9 რეკომენდაციის საკითხი, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შესაძლებელია იყოს პროგრამაში ჩართული პროფესორი; ასევე, მოწვეული პირები, რომლებსაც შესაბამის დარგში ან მიმართულებაში დოქტორის აკადემიური ხარისხი აქვთ. თვითშეფასებაში არ არის დაზუსტებული, თუ რა სამეცნიერო კვლევითი გამოცდილება ან აკადემიური ხარისხი შეიძლება ჰქონდეს სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელს.

ექსპერტმა ისაუბრა მე-7 რეკომენდაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებულია მემორანდუმები, სადაც მითითებულია პრაქტიკის ხანგრძლივობა - მედიის, ინფორმაციის და სოციალური კვლევების ცენტრთან, 1-დან 3 თვემდე, ხოლო, საქართველოს სოციალური და მარკეტინგული კვლევების ორგანიზაციასთან და „სი-არ-არსი“ საქართველოსთან - 1-დან 6 თვის ვადით. მემორანდუმში არ არის მითითებული სტუდენტების რაოდენობა და პრაქტიკის ხანგრძლივობა, რაც გაცემული იყო რეკომენდაციის სახით.

ამასთან აღსანიშნავია მე-10 რეკომენდაციაც, კერძოდ, რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია, თუმცა მისი სრულად მიღწევა საჭიროებს გარკვეული დროის პერიოდს. მართალია სამაგისტრო პროგრამა ანგარიშის ფორმაში მიუთითებს, რომ იგი არ იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას, თუმცა, წარმოდგენილ შიდა მონიტორინგის ანგარიშში (რომელიც შედგენილია აკრედიტაციის მინიჭების შემდეგ, თუმცა, დოკუმენტი არ არის დათარიღებული) ჩანს, რომ შემუშავდა პროგრამის განმავითარებელი რჩევები. ესენია: ლექცია/სემინარზე დასწრების ქულა ჩანაცვლდეს აქტივობის ქულით. - სასურველია პროგრამაში ჩართული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის ტრენინგების ჩატარება. - სასურველია, უნივერსიტეტის ტექნიკური აღჭურვილობის სრულყოფა: ლეპტოპები და კომპიუტერული კლასების რაოდენობის გაზრდა, პროექტორებით უზრუნველყოფა, ინტერნეტის ხარისხის ზრდა და ა.შ. - მოხალისე ექსპერტების (თსუ-ს აკადემიური პერსონალის) საქმიანობა ჩაითვალოს უნივერსიტეტის სერვისების ნაწილში.“

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს და აღნიშნა, რომ დაწესებულება არ იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ მხოლოდ B2 დონე განაპირობებს ინგლისური ენის ცოდნას, ვინაიდან აუცილებელი და მნიშვნელოვანი უნარების დაზუსტება ხდება სწორედ რომ გასაუბრების ეტაპზე, სადაც მოწმდება ინგლისური ენის დარგობრივი დონეც. გარდა ამისა, ყველა საგნის სახელმძღვანელო ინგლისურ ენაზეა მოცემული, საიდანაც სტუდენტებმა პრეზენტაციები უნდა მოამზადონ. გარდა ამისა, ამ რეკომენდაციის გათვალისწინების დროს პირველმა მიღებამ კურსი დაასრულა და, შესაბამისად, დაწესებულების მიერ ჩატარდა ფოკუს-ჯგუფი მოქმედ და ახალ სტუდენტებთან.

ამასთან, დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ პროგრამაში არ არის მითითებული სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელების შესახებ ინფორმაცია, მოცემული შემთხვევა წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს, ვინაიდან დაწესებულებას დეტალურად აქვს გაწერილი არა მარტო პროგრამის ხელმძღვანელები, არამედ მოწვეული და აკადემიური პერსონალიც. უნივერსიტეტში დოქტორის ხარისხის მქონე პროფესორს აქვს ვალდებულება, რომ 5 წელიწადში ერთხელ გამოაქვეყნოს სტატია საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში. იქიდან გამომდინარე, რომ გამოცხადებული გვაქვს 10 ადგილი, 3 პროფესორს შეუძლია ხელმძღვანელობა

რაც შეეხება მემორანდუმებს, პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტების ინტერესებთან და ამის მიხედვით ანაწილებს მათ. შესაბამისად, წინასწარ პრაქტიკის ობიექტზე გასაშვები სტუდენტების ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა შეუძლებელია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ დასკვნის შესაბამისად, „სამეცნიერო წერა“ გახდა სავალდებულო სასწავლო კურსი, შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა, თუ რა გამოიწვია

აღნიშნულმა ცვლილებამ პროგრამის სტრუქტურაში და როგორ აისახა აღნიშნული სწავლის შედეგებზე.

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჯანიძემ დააზუსტა თუ რა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც პროგრამაზე ხვდება სტუდენტი, რომელის ინგლისური ენის დონე არ შეესაბამება B2-ს.

სხდომის თავმჯდომარემ, ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა დააზუსტა, რომ თუ გასაუბრების წარმატებით დაძლევისთვის აუცილებელია B2 დონის ინგლისური ცოდნა დარგობრივი მიმართულებით, მაშინ რა არის ხელის შემშლელი ფაქტორი იმისთვის, რომ მოცემული პირობა დოკუმენტში გაიწეროს. საბჭოს წევრმა ხელმძღვანელთან დაკავშირებით აღნიშნა, წინა საბჭოს საოქმო ჩანაწერში მითითებული შემდეგი ფრაზა: „მნიშვნელოვანია კვალიფიციური აკადემიური პერსონალის ყოლა და განიხილება ისეთი შემთხვევებიც როდესაც ერთ-ერთ ხელმძღვანელს არ შეიძლება ჰქონდეს დოქტორის ხარისხი“. შესაბამისად, გაიცა ეს რეკომენდაციაც ბევრ სხვა ფაქტორებთან ერთად, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელიც დაეთანხმა, რომ დაზუსტებას საჭიროებს. რაც შეეხება მემორანდუმებს, მათში განსაზღვრული რაოდენობა არ ნიშნავს იმას, რომ მასზე მეტი/ნაკლების მიღების უფლება არ აქვს პრაქტიკის ობიექტს. შესაბამისად, თუ ჩაიწერა, პირობითად, 10 და მივიდა 5 იმის გამო, რომ სტუდენტებმა არ გამოხატეს ინტერესი ირღვევა თუ არა ამით რაიმე იურიდიული ვალდებულება. ამასთანავე, სტანდარტი არ აკეთებს პროგრამების დიფერენცირებას და ყველა პროგრამისთვის არის სავალდებულო მემორანდუმების რაოდენობის მითითება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთანხმება საბჭოს მოსაზრებას მემორანდუმებთან დაკავშირებით. გამომდინარე იქიდან, რომ სტუდენტთა რაოდენობა იყო მცირე არ მოხდა მისი ჩაწერა მემორანდუმებში, თუმცა აუცილებლად მოხდება მემორანდუმების დახვეწა და ჩასწორება.

რაც შეეხება ხელმძღვანელის საკითხს, დაწესებულებაში არსებობს შემდეგი პრაქტიკა, შესაძლებელია მაგისტრანტს ჰყავდეს ორი ხელმძღვანელი, აქედან ერთი იყოს დოქტორის ხარისხის გარეშე, იყოს დოქტორანტი ან ჩვენ შემთხვევაში, შესაძლებელია იყოს პრაქტიკოსი ფსიქოლოგი, მაგრამ მეორე აუცილებლად უნდა იყოს უნივერსიტეტის პროფესორი, რაც დოკუმენტში დეტალურად არ იყო გაწერილი. რაც შეეხება ინგლისურის B2 დონეს, იგზავნება ანკეტა-კითხვარი რის ფარგლებშიც წინასწარ შეთანხმებულია თუ რა მიმართულებაზე ხორციელდება მიღება. გასაუბრება როგორც აღინიშნა, ტარდება ინგლისურ ენაზე, რომლის დროსაც სპეციალურად მომზადებული ტექსტების თარგმნა და წარმოდგენა ხდება, რისი პრაქტიკაც უნივერსიტეტში არსებობს. თუ სტუდენტმა ვერ შეძლო ამ ეტაპის გადალახვა ის არ დაიშვება პროგრამაზე. ტექსტების გააზრებისთვის სტუდენტებს აქვთ დრო, ხოლო შემდგომ ხდება კითხვების დასმა და საკითხების განხილვა, რითაც მოწმდება მათი ცოდნა.

მნიშვნელოვანია, ასევე, აკადემიური წერის საკითხი, კერძოდ, მისი სავალდებულო საგნად გადატანა არჩევითი სასწავლო კურსის ხარჯზე განხორციელდა სტუდენტებისა და პროგრამის სასიკეთოდ. საბოლოოდ გაფართოვდა სავალდებულო საგნების ნაწილი.

საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ დააზუსტა B2 დონესთან დაკავშირებით. დაშვების წინაპირობაში მითითებულია, რომ დაწესებულება დებულობს სხვადასხვა კვალიფიკაციის მქონე ბაკალავრს. რა მეთოდით ზუსტდება, რომ მაგალითად, ბიზნეს ადმინისტრირების, ჟურნალისტიკის და ა.შ. კვალიფიკაციის მქონე ბაკალავრმა იცის სოციალური ფსიქოლოგიის დარგობრივი ინგლისური ენა. ხომ არ სჯობს, რომ მართლაც B2 კომპეტენციის დონე შეფასდეს და არა დარგობრივი.

დაწესებულების წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ დაწესებულებისთვის მთავარია სტუდენტმა შეძლოს ლიტერატურის დამუშავება, აქედან გამომდინარე, ამ ფაქტორს ვამოწმებთ. შესაძლოა სტუდენტმა არ იცოდეს არტიკლების გამოყენების წესი, მაგრამ იგებდეს შინაარსს და ტერმინოლოგიას. თუ სტუდენტი პრაქტიკულად არ ფლობს B2 დონეს, იგი ვერ შეძლებს გასაუბრების გავლას. პროგრამაზე დაიშვება სოციალური მეცნიერებების, ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია, ჰუმანიტარული მეცნიერებების, ბიზნესის ადმინისტრირება და

სამართალის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც ჩააბარებს საერთო სამაგისტრო გამოცდებსა და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდას. აღნიშნული წინაპირობა უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას. მიღების კომპონენტები, შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სოციალურ ფსიქოლოგიაში მოტივაციის წერილი ინგლისურ ენაზე და გასაუბრება ინგლისურ ენაზე (სპეციალურად მომზადებული ტექსტების თარგმნა და წარმოდგენა გასაუბრების პროცესში).

საბჭოს წევრმა, მკა კაჭარავამ დააზუსტა, თუ რამდენი სტუდენტი სწავლობს პროგრამაზე და რომელი პროფესიის წარმომადგენლები.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ამჟამად პროგრამაზე სწავლობს 7 პირველკურსელი და 9 მეორეკურსელი. მეორეკურსელებიდან ორი არის ფინანსისტი, ერთი იურისტი, ხოლო დანარჩენები არიან ფსიქოლოგები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:05

დასრულების დრო: 15:10

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “გავლენებისა და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით დააყენოს ცენტრთან შუამდომლობა 60 კალენდარული დღის ვადაში მონიტორინგის განხორციელების შესახებ

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^ბ მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2¹¹ პუნქტის საფუძველზე სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “გავლენებისა და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ არ იქნა მიღებული ცნობად და მიმართა ცენტრს აკრედიტაციის პირობებისა და დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების შესამოწმებლად, საგანმანათლებლო დაწესებულებაში მონიტორინგი განხორციელდეს 60 კალენდარული დღის ვადაში.

4. მეოთხე საკითხი : შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს - "ციფრული მარკეტინგის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა .

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ¹	ციფრული მარკეტინგი
2	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
3	კვალიფიკაციის დონე ²	მეექვსე
4	კვალიფიკაციის დასახელება	მარკეტინგის ბაკალავრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით ³	
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) ⁴	0414 მარკეტინგი და რეკლამა
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	240
9	განხორციელების ადგილი ⁵	თბილისი 0162,

		საქართველო ი.ჭავჭავაძის გამზირი N82
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	13/09/2021 - საბჭოს გადაწყვეტილება პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ „ციფრული მარკეტინგის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 14/09/2021.

რეკომენდაცია „რეკომენდებულია სასწავლო კურსის „რაოდენობრივი კვლევა და მონაცემთა ანალიზი“ შინაარსის კორექტირება მეტწილად არის გათვალისწინებული. დაწესებულებამ დაამატა ისეთი საგანი, როგორცაა „სტატისტიკა ბიზნესისათვის“, კორელაციის, რეგრესული განტოლებების საკითხები, თუმცა რაოდენობრივი კვლევა და მონაცემთა ანალიზი, სასწავლო კურსის შინაარსიდან გამომდინარე, ასევე მოითხოვს მსგავსი საკითხების სწავლას. ამ სასწავლო კურსში ფოკუსირება ხდება ძირითადად მარკეტინგული კვლევის საკითხებზე, თუმცა უფრო მეტად უნდა ფოკუსირდეს რაოდენობრივი კვლევის მეთოდებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს და აღნიშნა, რომ მოცემული რეკომენდაცია გარკვეულწილად დაწესებულებამ შეასრულა ვინაიდან დაემატა სავალდებულო სასწავლო კურსი, რაც უფრო მეტი მოცულობის არის ვიდრე ცალკეული საკითხების დამატება. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული კურსის მოდიფიცირება შესაძლებელია ისე, რომ მეტად ფოკუსირდეს რაოდენობრივ კვლევაზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:18

დასრულების დრო: 15:20

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს - "ციფრული მარკეტინგის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^ბ მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2¹¹ პუნქტის საფუძველზე შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს - "ციფრული მარკეტინგის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით

